

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის  
ოქმი N84

ქ.თბილისი

2 ივლისი, 2021 წელი  
16<sup>00</sup>საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს წევრები:

მიხეილ ამაშუკელი	ლევან არველაძე
გიორგი ბირბიჩაძე	გულია გოცირიძე
ოთარ გრიგოლია	ლევან დარახველიძე
გიორგი დოხტურიშვილი	ერეკლე კუხიანიძე
ანა ლაშხი	ლილე ლიპარტელიანი
ზაზა მამალაძე	მიხეილ მესხი
თინათინ ნიბლოშვილი	შალვა ოგბაიძე
ვაჟა ოთარაშვილი	ლევან ჟორჟოლიანი
დათო რურუა	ნინო რუხაძე
რევაზ სოხაძე	დავით უთმელიძე
ბორია ფირცხელიანი	ვახტანგ შაქარიშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე	ავთანდილ ცინცაძე
ვლადიმერ ძნელაძე	დავით ჭელიძე
ალექსანდრე ხუჯაძე	ლევან ჯაფარიძე (სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე)
ლევან ჯაფარიძე	ილია ჯიშკარიანი

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი ირაკლი თავართქილაძე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა.

ვახტანგ შაქარიშვილმა ისაუბრა თბილისის მუნიციპალიტეტში გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შესახებ აუქციონის გამოცხადებაზე და მოუწოდა კოლეგებს, მხარი არ დაუჭირონ აღნიშნულ საკითხს, რადგან ის არის „ნაციონალური მოძრაობის“ დანაშაულებრივი რეჟიმის მნიშვნელოვანი მიმართულების - მონოპოლიის და ელიტური კორუფციის ერთ-ერთი ნათელი გამოხატულება. მისი თქმით, სწორედ კორუფციული სქემით დაეუფლა გარე რეკლამის განთავსების ნებართვას კეზერაშვილის კომპანია, რომლის მფლობელიც დღეს არის „ვისოლ ჯგუფის“ სარეკლამო კომპანია „ალმა“ და წარმოდგენილ საკითხზე დადებითი გადაწყვეტილების მიღება საზიანოა ჩვენი ქალაქისთვის და ბიუჯეტისთვის, რადგან გვართმევს შესაძლებლობას, მივიღოთ გაცილებით უფრო მეტი შემოსავალი ამ საქმიანობიდან; ზღუდავს კონკურენციას ბიზნესში; აკანონებს უნებართვო და ამორტიზებულ კონსტრუქციებს, რომლებიც ძალიან სერიოზული პრობლემაა როგორც უსაფრთხოების, ასევე იერსახის თვალსაზრისით; ამცირებს მუნიციპალიტეტის როლს ამ სფეროს მონიტორინგის, კონტროლის და ზედამხედველობის ნაწილში და მომავალი თხუთმეტი წლის განმავლობაში, ქალაქის სხვა ადმინისტრაციებს უსპობს შესაძლებლობას, განავითაროს აღნიშნული მიმართულება და მიიღოს უფრო მეტი შემოსავალი. განაცხადა, რომ „ქართული ოცნება“ ადგილობრივ თუ ცენტრალურ ხელისუფლებაში მოვიდა წინა ხელისუფლების კორუფციული სქემების დაშლის დაპირებით, თუმცა, ამ გადაწყვეტილების მიღებით, დღევანდელი ხელისუფლება უარს იტყვის მისსავე პოზიციაზე, დააკანონებს უკანონობას და „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების მიერ დატოვებულ მემკვიდრეობას. ვახტანგ შაქარიშვილმა, საუბრის ბოლოს, კიდევ ერთხელ მოუწოდა კოლეგებს მხარი არ დაუჭირონ ხსენებულ საკითხს.

ოთარ გრიგოლიამ განაცხადა, რომ წარმოდგენილი საკითხი იმდენად კომპლექსურია, რომ შეუძლებელია ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად რაიმეზე ხასგასმით საუბარი. ცხადია, ქალაქის გარე რეკლამის მოწყობა შეიძლებოდა როგორც ადმინისტრირების პირობებში, ასევე მის გარეთაც, თუმცა, ის გადაწყვეტილება, რასაც დღეს მიიღებს საკრებულო არის გამჭვირვალე და კონსენსუალური. მისი თქმით, კონკურენცია იქნება ღია, ნებისმიერ ორგანიზაციას ექნება კონკურსში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა და შესაბამისად, დღეს მიღებული გადაწყვეტილება ვერ ჩაითვლება „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მიღებული გადაწყვეტილების საპირწონე. საუბრის ბოლოს, აღნიშნა, რომ ქალაქს, განსაკუთრებით პანდემიის პირობებში, აქვს გამოწვევები, რომლებსაც სჭირდება პასუხები და თუ თბილისის ბიუჯეტში არ მოხდება შესაბამისი თანხების მობილიზება, ვერ მოხდება ამ პასუხების გაცემა და ამ თვალსაზრისით ეს გადაწყვეტილება არის სწორი.

დავით უთმელიძემ განაცხადა, რომ „არავითარ უკანონობას არ ვაკანონებთ“, რადგან ცხადდება ახალი აუქციონი, რომელიც კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაშია და რომელშიც მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა აქვს ყველას, მათ შორის როგორც ქართულ, ასევე, უცხოურ ორგანიზაციებს. მისი თქმით, აუქციონის საწყისი ფასი განსაზღვრულია ექსპერტების მიერ, საკმაოდ ხანგრძლივი მუშაობის შედეგად და იმისათვის, რომ თბილისის ბიუჯეტში შევიდეს კიდევ უფრო მეტი თანხა, აუქციონი ცხადდება დადგენილ საწყის თანხაზე მეტი თანხით და ორ ლოტად. აქედან გამომდინარე, მიუღებელია როგორც რაიმე უკანონობაზე საუბარი, ასევე, ძველი და ახალი ხელშეკრულებების შედარება.

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ წინა აუქციონის მთავარი პრობლემა იყო ის, რომ მუნიციპალიტეტს უნდა მიეღო შემოსავლის 15%, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ბილბორდი არ

მუშაობდა, კომპანია იხდიდა 1 კვ.მ.-ზე 6 ლარს. ამასთანავე, აუქციონში გამარჯვებულ კომპანიას ჰქონდა ქვენებართეების გაცემის საშუალება, რაც ნიშნავს იმას, რომ გამარჯვებულ კომპანიას შეეძლო დაეარსებინა რამდენიმე შვილობილი კომპანია, რომლებიც ბილბორდებს გააქირავებდნენ საბაზრო ფასში, ხოლო თბილისის მერიათან პასუხისმგებელი კომპანია ბიუჯეტში შეიტანდა მინიმალურ თანხას და არა იმას, რაც რეალურად უნდა შესულიყო. ასევე, მნიშვნელოვანი პრობლემა იყო აუქციონის პერიოდში კონკურენციასთან დაკავშირებით არსებული შეკითხვები. რაც შეეხება დღევანდელ აუქციონს, აღსანიშნავია, რომ ქონების მართვის სააგენტომ მიმართა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს იმის დასადგენად, თუ რა ეღირებოდა ეს ბიზნესი 10 და 15 წლით, ათ ლოტად, ორ ლოტად და ერთ ლოტად და მხოლოდ კონკრეტული ციფრების გავლის შემდეგ იქნა მიღებული გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ რომელი ალტერნატივა იქნებოდა უკეთესი ბიუჯეტის გაზრდის და კონკურენციის არსებობის მიზნით. მისი თქმით, დღეს წარმოდგენილი პირობებით, მუნიციპალიტეტი ერთიანად მიიღებს იმ თანხას, რაც წლების განმავლობაში უნდა მიეწოდებინა კომპანიას, რაც გაცილებით უკეთესია, ხოლო აუქციონის გამოცხადება ორ ლოტად ხელს უწყობს კონკურენციას, რაც ასევე მნიშვნელოვანია.

გიორგი ტყემალაძის თქმით, ვახტანგ შაქარიშვილის განწყობა არის გულწრფელი, ის ყოველთვის აქტიურად იყო ჩართული ამ საკითხში და მიუხედავად განსხვავებული პოზიციისა, პატივს სცემს მის დამოკიდებულებას. განსხვავებული პოზიცია კი მდგომარეობს შემდეგში - ერთი შეხედვით, შესაძლებელია ვინმემ გააკეთოს დაშვება, თითქოს ძველ და ახალ ხელშეკრულებებს შორის ნაკლებად მნიშვნელოვანი განსხვავებებია, თუმცა, თუ კარგად გავანალიზებთ, დავინახავთ, რომ საკმაოდ მნიშვნელოვანი განსხვავებებია, რაზეც უკვე ისაუბრეს კოლეგებმა და ასევე, მნიშვნელოვანია ფინანსური გამსხვილება, რომლის შედეგადაც მივიღებთ უკეთეს მდგომარეობას ეკონომიკური კუთხით. მისი თქმით, დღევანდელ პირობებში, მათ შორის პანდემიის გათვალისწინებით, როდესაც ქალაქში ბევრი მნიშვნელოვანი პროექტია განსახორციელებელი, მუნიციპალიტეტის მხრიდან ამ ნაბიჯის გადადგმა გამართლებულია, რადგან თბილისის გამგეობებისთვის თუნდაც თითო-თითო მილიონი ლარის დამატება ძალიან კარგ შედეგს მოიტანს ჩვენი მოქალაქეებისთვის.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

#### დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ბირბიჩაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-47

დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 აპრილის N80-43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

4. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

5. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონის ფორმით გაცემისას ნებართვის გამცემისა და ნებართვის მფლობელის მიერ ხელმოწერილი პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი“ 2009 წლის 3 აპრილის N1 და N2 ოქმების საფუძველზე გაცემულ ქ. თბილისში, მდინარე მტკვრის მარცხენა და მარჯვენა სანაპიროებზე არსებულ უძრავ ნივთებზე გარე რეკლამის განთავსების N000001 და N000002 ნებართვებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მდინარე მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვების გაცემის შესახებ ელექტრონული პირობებიანი აუქციონების გამოცხადების თაობაზე საკითხის შეთანხმების და ელექტრონული პირობიანი აუქციონების პირობების დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

7. „ქალაქ თბილისში, გლდანში, მე-8 მიკრორაიონის კორპუსი N11-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.10.002.005.01.503) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

8. „ქალაქ თბილისში, ავჭალის ქუჩა N11-ში (საკადასტრო კოდი: N72.12.01.216.01.513) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

9. „ქალაქ თბილისში, ვაგზლის ქუჩა (სადგურის) N78-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.11.030.002.01.010) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

10. „ქალაქ თბილისში, ფერდობი შალვა ნუცუბიძე, მიკრო/რაიონი IV, კორპუსი 55-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.01.001.060) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

11. „ქალაქ თბილისში, პეკინის გამზირი, N41გ-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.012.029) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

12. „ქალაქ თბილისში, ქართლელიშვილის ქუჩა (ყოფილი კამალოვი) N26-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.12.013.074) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

13. „ქალაქ თბილისში, ნაკადულის მე-6 გასასვლელ N33-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.005.014.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

14. „ქალაქ თბილისში, ელდარის ქუჩა N12-ში, კორპუსი N1-სა და კორპუსი N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.026.027) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

15. „ქალაქ თბილისში, ქუჩა ნუცუბიძე N181ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.01.007.224.01.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

16. „ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N102-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.067) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

17. „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, ლადო გუდიაშვილის ქუჩა N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.20.01.101.079) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

18. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მიხეილ ხერგიანის ქუჩა, ჩიხი N1, N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.039.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

19. „ქ.თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N79-ში, მე-3 კვარტალი, კორპუსი N15-ის მიმდებარედ არსებული 3509 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.14.04.013.066) 24 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართული სკოლისთვის“ (ს/კ.: 404903734) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

20. „ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთიდან (ს/კ.: 01.16.05.032.024) 22 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ამირასთვის“ (ს/ნ.: 405451498) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

21. „ქ.თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N37-39-ის მიმდებარედ არსებული 3833 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.14.14.003.201) 73 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი

განკარგვის წესით შპს „იბერკომპანისთვის“ (ს/კ.: 231963818) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

22. „ქ.თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3134 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.15.04.020.030) 27 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ზნიპ კაფესთვის“ (ს/კ.: 404604610) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

23. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, საქართველოს სამხედრო გზა, ბოტანიკის ინსტიტუტის მოპირდაპირედ მდებარე 884 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.13.01.009.068) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

24. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულ - გიორგი ქოჩიაშვილს (პ/ნ.: 12001025934) შორის 2019 წლის 2 ოქტომბერს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის“ Nე-484-6-23873 და Nე-484-7-23874 ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების გაუქმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

25. „საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიისთვის „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესით დადგენილი მოთხოვნებისაგან განსხვავებული პირობების შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

26. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

27. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

28. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონში (ნაკვეთი 01/088) (საკადასტრო კოდი: N01.14.01.001.396) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

29. „ქალაქ თბილისში, დიდ დილოში ასასვლელ გზასა და ფარნავაზის ქუჩის გადაკვეთასთან; ქალაქი თბილისი, დასახლება დიდი დილოში, ჰიპერმარკეტ „გუდვილი“-ს მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზირი N1ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.10.06.011.083; N01.10.06.011.063) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

30. „ქ.თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.02.03.652), ინდივიდუალური სააგარაკე უბნისა და ბავშვთა დასასვენებელი ბანაკის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 5 ივნისის N1392 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტბე

31. „ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ინდივიდუალური საცხოვრებელი უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 11 ოქტომბრის N320 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტბე

32. „ქალაქ თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N100-სა და N110-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.13.01.014.065; N01.13.01.014.066) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტბე

33. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N215-სა და N217-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.007.710; N01.72.14.007.711) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტბე

34. „ქალაქ თბილისში, სულხან ცინცაძის ქუჩა N24ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.17.002.033) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტბე

35. „ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N6, უნივერსიტეტის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვეთი 08/067) არსებულ მიწის ნაკვეთებსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.14.06.008.289; N01.14.06.008.310; N01.14.06.008.309; N01.14.06.008.067) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტბე

36. „ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.02.13.851; N81.02.13.845; N81.02.19.748; N81.02.19.749; N81.02.13.432; N81.02.13.431; N81.02.13.433; N81.02.13.435; N81.02.19.754; N81.02.13.695; N81.02.13.852) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტბე

37. „ქ.თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონი, სოფელი ლისის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 18 ნოემბრის N01/1711 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტბე

38. „ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში; ქალაქი თბილისი, სოფელ წავკისში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.21.628; N81.02.21.629; N81.02.21.630; N81.02.21.632; N81.02.21.631; N81.02.01.802; N81.02.21.604; N81.02.21.337; N81.02.21.316; N81.02.21.336; N81.02.21.338; N81.02.21.315; N81.02.94.019; N81.02.21.428; N81.02.01.894; N81.02.21.515; N81.02.01.812; N81.02.21.575 (ნაწილი); N81.02.21.564 (ნაწილი); N81.02.41.011 (ნაწილი); N81.02.21.357 (ნაწილი) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

39. „ქ.თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, „დელისი 3“-ის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის სამხრეთით, შპს „ბიურო 7“-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ“ ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 6 ივნისის N01/676 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

40. „ქალაქ თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, დიდმის მასივში, ლუბლიანის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვ. N14 და ნაკვ. N18/273) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.13.01.018.205; N01.13.01.018.273) ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 18 მაისის N120846 გადაწყვეტილებით გაცემული საცხოვრებელი მიკრო-უბნის“ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძემ და განმარტა, რომ დღემდე არსებული რეგულაციით, მოქალაქეს, რომელიც საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების მისაღებად მერიისგან ითხოვდა დაფინანსებას, ჯანდაცვის სამინისტროდან სამედიცინო კონსილიუმის დასკვა უნდა აეღო ხელზე და შემდეგ წარედგინა მერიაში. წარმოდგენილი ცვლილება ითვალისწინებს აღნიშნული დასკვნის მერიაში გადაგზავნას ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რაც მოქალაქეებისთვის ხსენებული პროცედურის გამარტივებას ნიშნავს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0



წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ ცვლილებები ითვალისწინებს ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, სამსახურებთან დაკავშირებით, გარკვეულ დაზუსტებებს, კერძოდ: ადმინისტრაციულ სამსახურში წარმოდგენილია შემოსავლების კონტროლი ადგილობრივი საქალაქო რეგულატორი სამგზავრო გადაყვანის მიმართულებით, ხოლო სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურში წარმოდგენილია როგორც ფინანსური, ასევე, სამართალდარღვევებთან და სხვა ქმედებებთან დაკავშირებული კონტროლი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 აპრილის N80-43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ ცვლილებებით წარმოდგენილია ინტეგრირებულ სისტემაში ჩართულ რამენიმე მარშრუტზე მიკროავტობუსების რაოდენობის დამატება და ასევე, კომენდანტის საათის გაუქმებიდან გამომდინარე, მომსახურების გაგრძელება 24<sup>00</sup> სთ.-მდე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 16

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.

რადიოფიციერებისა და კენჭისყრის პროცედურების მონიტორინგის კომპიუტერულ სისტემაში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი და აქედან გამომდინარე, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ განმეორებით დააყენა კენჭისყრაზე წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

4. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებით შემოტანილი იქნა საგზაო ნიშანი, რომელიც გამოიყენება პარკირების წესში. წარმოდგენილი ცვლილებებით, პირველი ჯგუფის ე.წ. მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე, რომლებიც სარგებლობენ მათთვის განკუთვნილი პარკირების ადგილით, გაიცემა შესაბამისი საცნობი ნიშნები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

5. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონის ფორმით გაცემისას ნებართვის გამცემისა და ნებართვის მფლობელის მიერ ხელმოწერილი პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი“ 2009 წლის 3 აპრილის N1 და N2 ოქმების საფუძველზე გაცემულ ქ. თბილისში, მდინარე მტკვრის მარცხენა და მარჯვენა სანაპიროებზე არსებულ უძრავ ნივთებზე გარე რეკლამის განთავსების N000001 და N000002 ნებართვებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიმდინარე სხდომაზე, განსახილველად წარმოდგენილია პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვების გაცემის შესახებ ელექტრონული აუქციონის პირობებს, რომელშიც, თავის მხრივ, განიხილება ვადებიც, აღნიშნული პროექტით მუნიციპალიტეტი შეძლებს დაასრულოს აუქციონი და გამოავლინოს გამარჯვებული 2021 წლის პირველ სექტემბერს. იქიდან გამომდინარე, რომ არსებულსა და ახალ სარეკლამო აუქციონს შორის არ მოხდეს წყვეტა, წარმოდგენილია 2009 წლის 3 აპრილს გაფორმებული ანუ დღეს მოქმედი ხელშეკრულების ვადის გაგრძელება 2021 წლის პირველ სექტემბრამდე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მდინარე მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვების გაცემის შესახებ ელექტრონული პირობებიანი აუქციონების გამოცხადების თაობაზე საკითხის შეთანხმების და ელექტრონული პირობიანი

აუქციონების პირობების დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ ქონების მართვის სააგენტომ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მიმართა იმის დასადგენად, თუ რა ღირებულება ექნებოდა აუქციონის გამოცხადებას 10 და 15 წლის ვადით, ერთ, ორ და ათ ლოტად. აღსანიშნავია, რომ რაც უფრო ნაკლებია წლები, ხოლო მეტია ლოტების რაოდენობა, მით უფრო დაბალია ფასი, კერძოდ: 15 წლით აუქციონის ერთ ლოტად გამოცხადების ღირებულება არის 31584000 ლარი, ორ ლოტად - 30000000 ლარი, ათ ლოტად - 23000000 ლარი, ხოლო 10 წლით აუქციონის ერთ ლოტად გამოცხადების ღირებულება არის 20000000 ლარი, ორ ლოტად - 19500000 ლარი, ათ ლოტად - 15500000 ლარი. აქედან გამომდინარე, მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ აუქციონი გამოცხადდეს 15 წლით ორ ლოტად, თუმცა აღებული იქნას ერთი ლოტის ღირებულება ანუ ყველაზე მაღალი თანხა, რომელიც მითითებულია ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნაში და ეს თანხა, მარჯვენა და მარცხენა სანაპიროებზე, გაიყოფა პროპორციულად. აღსანიშნავია, ასევე, რომ ბიჯი არის 5%, რაც ნიშნავს იმას, რომ დაახლოებით 1500000 ლარით გაიზრდება ორივე ლოტი ჯამში და ჩვენ შევძლებთ, მინიმუმ ერთი ბიჯის შემთხვევაში, დაახლოებით 33000000 ლარი მივიღოთ თბილისის ბიუჯეტში რაც, შემდგომში, მოხმარდება სხვადასხვა სოციალურ და მუნიციპალიტეტისთვის აუცილებელ პროექტებს. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტი, დამატებითი ბენეფიტის სახით, მიიღებს 37 ერთეულ გარე რეკლამის ობიექტს, რომელსაც განკარგავს თავისი სურვილისამებრ და შეძლებს განათავსოს არაკომერციული და არაპოლიტიკური შინაარსის, მოსახლეობისთვის საჭირო ინფორმაცია. ხოლო საჭირო თანხას, იქნება ეს სარეკლამო ბანერის შეცვლა, მისი ელექტრონერგით მომარაგება თუ სხვა ხარჯი, სრულად დაფარავს აუქციონში გამარჯვებული კომპანია. ირაკლი თავართქილაძემ აქვე განმარტა, რომ თუ წარმოდგენილ საკითხზე მიღებული იქნება დადებითი გადაწყვეტილება, აუქციონი გამოცხადდება 5 ივლისს, 30 დღის ვადით და დასრულდება 4 აგვისტოს, რის შემდეგაც, აუქციონში გამარჯვებულ კომპანიას, მიეცემა 15 დღე ხელშეკრულების გასაფორმებლად და შემდეგ კიდევ 15 დღე იმისთვის, რომ გადაიხადოს თანხა.

ვახტანგ შაქარიშვილმა მიმართა საკრებულოს წევრებს: „არ დამეზარება, კიდევ ერთხელ გთხოვოთ, რომ არ დაუჭიროთ ამას მხარი“ და განაცხადა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით, მის მიერ საკრებულოს წევრებისთვის გაგზავნილ წერილში, კონკრეტულ ფაქტებზე დაფუძნებული არგუმენტებით იყო დასაბუთებული, თუ რა ტიპის გადაწყვეტილების მიღებაზეა საუბარი და სამწუხაროდ, მას არ მოუსმენია არგუმენტები, რომლებიც უარყოფდა ან გადაწონიდა ამ ფაქტებს. აქედან გამომდინარე, რჩება იმ აზრზე, რომ წარმოდგენილი საკითხისთვის მხარის დაჭერა მიუღებელია.

გიორგი ტყემალაძემ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ვახტანგ შაქარიშვილის პოზიცია გულწრფელია, თუმცა, საკრებულოს წევრებს დეტალურად აქვთ განხილული საკითხი და გარკვეული გადაწყვეტილებაც აქვთ მიღებული. გიორგი ტყემალაძე, კოლეგებისგან განსხვავებით, ფიქრობს, რომ შესაძლებელია გამარჯვებული არ იყოს კომპანია „ალმა“, რადგან დარწმუნებულია, რომ აუქციონზე ვაჭრობა შედგება და იქნება კონკურენცია.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

7. „ქალაქ თბილისში, გლდანში, მე-8 მიკრორაიონის კორპუსი N11-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.10.002.005.01.503) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 74 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2010 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

8. „ქალაქ თბილისში, ავჭალის ქუჩა N11-ში (საკადასტრო კოდი: N72.12.01.216.01.513) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 67 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2010 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

9. „ქალაქ თბილისში, ვაგზლის ქუჩა (სადგურის) N78-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.11.030.002.01.010) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 64 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 1995 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

10. „ქალაქ თბილისში, ფერდობი შალვა ნუცუბიძე, მიკრო/რაიონი IV, კორპუსი 55-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.01.001.060) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 240 კვ.მ. ფართის გადაცემა რვა ოჯახისთვის.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

11. „ქალაქ თბილისში, პეკინის გამზირი, N41გ-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.012.029) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 41 კვ.მ. ფართის გადაცემა სამი ოჯახისთვის, რომლებიც 1993 წლიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

